

№3-258

25.09.2018



შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“

დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობა,
სავაჭრო ცენტრი „თბილისი მოლი“

გაცნობებთ, რომ მომხმარებლის მომართვის საფუძველზე, მაღაზია კარფურში (სავაჭრო ცენტრი „თბილისი მოლი“) შევიძინეთ კარაქი „ვალიო“, რომლის ეტიკეტზეც ვარგისიანობის ორი, განსხვავებული ვადაა მითითებული: 8 თვე და 18 თვე (23.03.2018-14.09.2019).

აღსანიშნავია, რომ ვარგისიანობის 8-თვიანი ვადა მითითებულია უცხოენოვან წარწერებზე, ხოლო ქართულენოვან ტექსტში ამის თაობაზე არ არის აღნიშნული.

ისიც საგულისხმოა, რომ შავი შრიფტით დატანილი გამოშვების თარიღი, საათი და ვარგისიანობის ვადა, სპირტით ადვილად იშლება.

საყურადღებოა ისიც, რომ კარაქისათვის 18-თვიანი ვადა მეტად დიდია.

ვთვლით, რომ აღნიშნული პროდუქტის გაყიდვით ირღვევა სურსათის ეტიკეტირების მოთხოვნები.

ამავე დროს, ჩნდება ეჭვი იმის თაობაზე, ხომ არ არის ეს პროდუქტი ფალსიფიცირებული.

პროდუქტის ფოტოებს და შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტს გიგზავნით დანართად.

გთხოვთ გაითვალისწინოთ.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ ინფორმაცია აღწერილი ფაქტის შესახებ გაშუქდა ჩვენს ვებპორტალზე www.momxmarebeli.ge. ინფორმაციაში კონკრეტულად არის მითითებული თქვენი ფირმის დასახელება. იმისთვის, რომ ასეთმა გაშუქებამ თქვენი ინტერესები უსამართლოდ არ დააზიანოს, ჩვენ გაძლევთ საშუალებას დაიცვათ თქვენი ინტერესები შემდეგი შესაძლებლობებით:

- თუ მიგაჩნიათ, რომ ვებპორტალზე თქვენს მიმართ გამოთქმული კრიტიკა არასწორია, თქვენ შეგიძლიათ გამოთქვათ ეს მოსაზრება იქვე, იმავე სტატიაზე კომენტარების საშუალებით. კომენტართან ერთად შეგიძლიათ ატვირთოთ თქვენი სისწორის დამადასტურებელი დოკუმენტები, ფოტოები ან ბმულები. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ თქვენს მიერ ატვირთული მთელი ინფორმაცია უცვლელად, და ჩვენს მიერ გაშუქებული ინფორმაციის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლებისთვის;

მომხმარებელი.გე

www.momxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს





მომხმარებელი.გე

საკითხს აშუქებს

- თუკი ჩვენს მიერ გამოთქმულ კრიტიკას ეთანხმებით, მაგრამ უკვე გამოასწორეთ ის დარღვევა, რომელიც ჩვენს სტატიაშია გაშუქებული, ჩვენ მზად ვართ იგივე მეთოდით გავაშუქოთ ეს გარემოება. ამისთვის თქვენ უნდა დაგვიკავშირდეთ ორგანიზაციის ტელეფონზე და გვაცნობოთ იმის შესახებ, რომ თქვენ გამოასწორეთ დარღვევა და გსურთ ამის დაფიქსირება. ამის შემდეგ ჩვენი წარმომადგენელი გაუფრთხილებლად ეწვევა თქვენს მიერ მითითებულ მალაზიას და შეისყიდის თქვენს მიერ მითითებულ სურსათს. მიღებული შედეგები გაშუქდება იმავე გვერდზე, სადაც აღმოჩენილ დარღვევაზე იყო საუბარი. გთხოვთ გაითვალისწინოთ; მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად, მიღებული დადებითი შედეგი კიდევ გადამოწმდება, რა თქმა უნდა, მოულოდნელად.

ამავე დროს, გთხოვთ, ჩვენთან ურთიერთობაში შემოიფარგლოთ მხოლოდ გამჭვირვალე მეთოდებით: www.momxmarebeli.ge ვებპორტალზე ან ფეისბუქის შესაბამის გვერდზე (<http://www.facebook.com/momxmarebeli.ge>) კომენტარებით, ან ორგანიზაციის ტელეფონზე დარეკვით.

www.momxmarebeli.ge

ინფორმაცია ჩვენს მიერ აღმოჩენილი ფაქტის შესახებ აგრეთვე გადაეგზავნა სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი



0Y00108225

FM00305775



შპს ვალიო სე ჰაბი
 კომპანია
 რეზის სასაწყობო სასაწყობო კომპანია
 ტერიტორია, სავაჭრო
 სანაგობო "თბილისი პორტი"
 ს/ნ: 404923749
 პოსტალი 01
 Articol 7.20 A
 კაპი: 7.20
 ნაღდი 01
 01 ნაღდი

გაყიდვის
 182769 24-09-2018 15:56



0Y00108225

FM00305775

კური

სა მოლი

3
4

7.20 T
 7.20
 10.00
 2.80

1
45

მონაჩეტი

საქონლო ზედნადები # ელ- 0404913812

3 16:25:11 დრო (საათი, წუთი)

(დღ-ს გადამხდელი)
 404923749 5 ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი 204873618
 ტიფოვაციო/მირადი ნომერი მყიდველის (მიმღების) დასახელება, ან სახელი და გვარი საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

7 დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორია ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8 X ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

10 X სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი მისამბელი

12 გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი მყიდველი - 0 თანხა ლარებში

ნლო ზედნადების ცხრილი

საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *		
1	VALIO კარაქი 200გ	6408432061141	ცალი	1.0000	7.2000	7.2000

13 7.2 - შვიდი ლარი და ოცი თეთრი მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14 გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15 მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16 ხელმოწერა

17 ხელმოწერა

18 მიწოდებული საქონლის ჩაბარების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) 24/09/2018 დრო (საათი, წუთი) 16:25:11

19

შენიშვნა: * დღ-ს გადამხდელისათვის დღ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღ-ს და აქციზის ჩათვლით ამობეჭდვის თარიღი 25/09/2018, 10:14:41

Valio

сливочное
масло

традиционное
since 1905

82%
жирность

e 200g



**(RUS) МАСЛО «ВАЛИО» КИСЛОСЛИ-
ВОЧНОЕ МАССОВАЯ ДОЛЯ ЖИРА 82%.**

Состав: пастеризованные сливки, молочнокислые микроорганизмы. Пищевая ценность на 100 г продукта: жиров - 82 г, из них насыщенных жирных кислот - 46 г, углеводов < 1 г, белков < 1 г. Энергетическая ценность /калорийность - 3050 кДж /740 ккал. Хранить при температуре от +4 °С до +8 °С. Срок годности: 8 месяцев. Дата изготовления /дата упаковывания: см. на упаковке. Годен до: см. на упаковке.